taxinfo.ge

ს ე ს ხ ი ს დ ა ი პ ო თ ე კ ი ს
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

___.___.2022 ქ. _____

შპს „_____“ (ს/ნ _____), წარმოდგენილი მისი დირექტორის - _____ _____-ის (პ/ნ _____) სახით, შემდეგში წოდებული როგორც - **„გამსესხებელი“**, ერთის მხრივ და **შპს „_____“** (ს/ნ _____), წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ _____ (პ/ნ _____) სახით, შემდეგში წოდებული როგორც - **„მსესხებელი“**, მეორეს მხრივ, ვთანხმდებით და ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდეგში - **„ხელშეკრულება**“) შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე **„ხელშეკრულებით“ „გამსესხებელმა“ „მსესხებელს“** ასესხა _____ (_____) ლარი;

1.2. **„მსესხებელი“** ვალდებულია მიღებული სესხის თანხა (_____ ლარი) სრულად დაფაროს/დააბრუნოს (მ.შ. სესხის თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდის გზით) არაუგვიანეს _____ წლის ____ _____-მდე;

1.3. სესხის წლიური საპროცენტო სარგებელი შეადგენს **_____%**-ს, რომელიც გაიანგარიშება **„მსესხებლის“** მიერ ფაქტობრივად გამოყენებული სესხის თანხების მიხედვით, გამოყენებული დღეების პროპორციულად;

1.4. სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაფარვის საბოლოო ვადაა _____ წლის _____ _____;

1.5. სესხზე დარიცხული ყოველთვიური პროცენტის გადახდა **„მსესხებლის“** მიერ ხორციელდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის შემდეგი თვის ___ რიცხვამდე;

1.6. **„მსესხებლის“** მიერ **„გამსესხებლისთვის“** სესხის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის თანხების **„ხელშეკრულებით“** გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, **„გამსესხებელი“** უფლებამოსილია მოსთხოვოს **„მსესხებელს“** პირგასამტეხლო - გადასახდელი თანხის __%-ის ოდენობით თითო

ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს **„მსესხებელს“ „ხელშეკრულებით“** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

2. მოთხოვნის უზრუნველყოფა

2.1. „გამსესხებლის“ მიერ **„მსესხებლისთვის“** გასესხებული თანხის, მასზე დარიცხული სავარაუდო პროცენტისა და შესაძლო პირგასამტეხლოს თანხების მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით (მთლიანობაში უზრუნველყოფილი თანხა _____ ლარი), **„მსესხებელი“ „გამსესხებლის“** სასარგებლოდ იპოთეკით ტვირთავს მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთს (შემდეგში - **„იპოთეკის საგანი“**) - მიწას მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობებით ქ. _____-ში, _____-ის ქ. N____-ში. **„იპოთეკის საგნის“** ტექნიკური მახასიათებლებია:

საკადასტრო კოდი: _____;

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: _____;

ნაკვეთის დანიშნულება: _____;

დაზუსტებული ფართობი: _____;

ნაკვეთის წინა ნომერი: _____;

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: _____;

მისამართი: _____.

3. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მისი მოქმედების ვადა

3.1. **„ხელშეკრულება“** ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **„მხარეთა“** მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;

3.2. **„ხელშეკრულების“** ვადამდე ადრე შეწყვეტა ან **„ხელშეკრულებაში“** ცვლილების შეტანა ხდება **„მხარეთა“** შეთანხმებით, წერილობითი ფორმით;

3.3. **„ხელშეკრულება“** შედგენილია თანაბარი ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითო-თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრს **„იპოთეკის საგანზე“ „გამსესხებლის“** სასარგებლოდ იპოთეკის უფლების რეგისტრაციის მიზნით

taxinfo.ge

„მსესხებელი“: შპს „_____“ (ს/ნ _____)

_____ /_____ _____ (პ/ნ _____), დირექტორი/

„მსესხებლის“ საბანკო რეკვიზიტები:

ბანკის დასახელება: ს/ს „_____“

მიმღების დასახელება: შპს „_____“

ანგარიშის N: _____.

„გამსესხებელი“: შპს „_____“ (ს/ნ _____)

_____ /_____ _____ (პ/ნ _____), დირექტორი/

„გამსესხებლის“ საბანკო რეკვიზიტები:

ბანკის დასახელება: ს/ს „_____“

მიმღების დასახელება: შპს „_____“

ანგარიშის N: _____.